პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 102 (18644) ორშაბათი, 2 მაისი 1983 წელი ფასი 3 კაპ.

წითელი დროშების შრიალით, ლამაზი ყვავილებით, სხივნათელი გაზაფხულის ფერებით შემობრძანდა გუშინ მთელს კლანეტაზე მსოფლიოს მშრომელთა დიადი დღესასწაული — 1 მაისი.

ნათელი ოპტიმიზმით აღსავსენი, ხალისიანი განწყობილებით, ახალი შრომითი მიღწევებით შეეგებნენ მას ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს — სსრ კავშირის სხვადასხვა ეროვნების კადამიანები, მათ შორის საბჭოთა საქართველოს მშრომელები. ალისფერ ტრანსპარანტებზე, რომლებითაც ჩვენი ქალაქების, ჩვენი სოფლების მოედნებსა და ქუჩებზე მოზეიმე კოლონებმა ჩაიარეს, წარწერილი იყო ხალხის სანუკვარი სიტყვები: „მშვიდობა, შრომა, მაისი!“

მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე მთელი მსოფლიოს პროგრესულმა ძალებმა იზეიმა.

წითელი მოედანი. ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე.

საკდეს-საძინფორმის ტელეფოტო.

შრომის, იმედისა და გაზაფხულის ზეიმი

საპირველმაისო დემონსტრაცია მოსკოვის წითელ მოედანზე

რა მშვენიერია მიწა და ადამიანი ამ მიწაზე...

აყვავებული და საგაზაფხულოდ განახლებული მიწა, მშვიდობისა და შრომის, და არა ნგრევისა და ხანძრის მიწა. ჩვენი პლანეტის ბედი ადამიანის ხელშია. ეს განსაკუთრებით ნათლად იგრძნობა დღეს, შრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს.

შრომა, მშვიდობა, მაისი! პროლეტარიატმა გააერთიანა სიტყვები, რომლებიც ძალადობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, ძმობისა და თავისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის სიმბოლო გახდა.

„ორი სამყაროო უპირისპირდება ერთმეორეს ამ დიად ბრძოლაში: კაპიტალის სამყარო და შრომის სამყარო“, — წერდა ვ. ი. ლენინი პროკლამაციაში „პირველი მაისი“ 1904 წელს. ეს პროკლამაცია დაიბეჭდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური ორგანოს სახელით — რსდმპ მეორე ყრილობის შემდეგ.

შრომის სასუფეველმა პლანეტის მეხუთედზე გაიმარჯვა, მშრომელი კაცი გახდა მსოფლიოში პირველი სოციალიზმის ქვეყნის ბატონ-პატრონი, შრომა კი ადამიანის ღირსების მთავარი საზომი გახდა.

პატივი და დიდება შრომის მიხედვით! — ვამბობთ დღეს, როცა ვაფასებთ თითოეულის წვლილს საერთო საქმეში.

ჩვენ გვჭირდება შრომა აყვავებისათვის და არა ქვეყნად სიცოცხლის მოსპობისათვის, და ამიტომ, აღმშენებელ საბჭოთა ხალხს ბედნიერების საწინდრად მტკიცე მშვიდობა მიაჩნია. საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე ზავის დეკრეტიდან სკკპ XXVI ყრილობის მიერ მიღებული ოთხმოცდაათი წლების სამშვიდობო პროგრამამდე — ასეთია მთელი პლანეტის მოწმენდილი ცისათვის ბრძოლაში კომუნისტთა პარტიის მიერ განვლილი გზის დისტანცია.

ლაკვარდოვან კამარად დაჰყურებს ეს ცა გამოცოცხლებულ გაზაფხულის მიწას. აისით გაცისკროვნებული, გიგანტურ ლამაზ ყვავილად წარმოგვიდგა ამ დილით წითელი მოედანი.

პირველი მაისი პლანეტის ყველა მშრომელს ეკუთვნის, მაგრამ მისი გული აქ, მოსკოვის ცენტრში ძგერს 1918 წლის იმ ღირსახსოვარი დღიდან, როცა კრემლის გალავანთან პირველმა საბჭოთა დემონსტრაციამ ჩაიარა. 65 წლის წინათ ამ დემონსტრაციას წითელ მოედანზე ვ. ი. ლენინი მიესალმა.

ილიჩი დღესაც ჩვენთან არის — საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის მიერ დაწყებული საქმეების განხორციელებაში, იმ სიძნელეებთან ბრძოლაში, რომელთა დაძლევაში გვეხმარება მარქსიზმ-ლენინიზმის მარად ცოცხალი მოძღვრება.

სადღესასწაულო კომპოზიციის ცენტრში, რომელიც სახელმწიფო უნივერმაღის შენობას ამშვენებს, კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის პორტრეტებია. მარქსიზმს განსაკუთრებული ბედი აქვს. დრომ მას არნახული გამარჯვებები მოუტანა. კაცობრობის დღეს აქვს მოძღვრებაც და რეალურად არსებული სოციალისტური საზოგადოებაც. მან თავი დაიცვა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და გულდაჯერებით მიაბიჯებს წინ.

„წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!“ — მოგვიწოდებს მოედნის თავზე აღმართული პანო. წითელ ფონზე გამოსახულია მშრომელთა კოლონები დროშებით, რომლებიც ნათელი მიზნის გზას გვისახავენ: „ვიზორციელებთ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს!“, „სასურსათო პროგრამა საყოველთაო-სახალხო საქმეა!“ „მთელი ძალ-ღონე მოვახმაროთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებას!“.

მუშის ღონიერი ხელი მიგვითითებს ლოზუნგზე „მთელი ძალები — მშვიდობისათვის ბრძოლას!“. ეს პანო საისტორიო მუზეუმის შენობაზეა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებები მსოფლიოს მშრომელებს საკადრისი პასუხი გასცენ იმპერიალიზმის, მილიტარიზმისა და რევანშიზმის აგრესიულ ხრიკებს. მხოლოდ ერთობლივი მეცადინეობით შეიძლება აღმოვფხვრათ ბირთვული ომის საფრთხე, დავიცვათ და გავარმავოთ დაძაბულობის შეხვლება.

ბირთვული იარაღის გამოყენებაზე, პირველი ბირთვული დარტყმის დოქტრინებზე უარის თქმა მშვიდობის საქმეს ემსახურება. სწორედ ამიტომ გამოეხმაურნენ ასე ფართოდ ყველა ქვეყანაში ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების წინადადებებს, საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებს, რომლებიც გამოხატავენ გულწრფელ მისწრაფებას მოვლენათა მიმდინარეობა კვლავ წარმართონ დაძაბულობის შენელების კალაპოტით და რომლებიც მშვიდობიანი თანაარსებობის უდიდეს შესაძლებლობებს გვისახავენ.

პურის თავთავები, ნამგალი და ურო, ამომაგალი მზის სხივებით გაცისკროვნებული მიწა კრემლის ძველ გალავანზე დღევანდელი დღის სიმბოლოაა. ცენტრში, სენატის კოშკზე საბჭოთა კავშირის გერბია, მის ორივე მხარეს კი — მოკავშირე რესპუბლიკათა გერბები. მოედნის თავზე აღმართული სსრ კავშირის სახელმწიფო დროშა 15 დროშით არის გარშემორტყმული.

ზეიმის დაწყებამდე წუთები რჩება.

ტრიბუნებზე ადიან პარტიისა და შრომის ვეტერანები, ოქტომბრის რევოლუციისა და დიდი სამამულო ომის მონაწილენი, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. პირველი ხუთწლედების დამკვრელების გვერდით ჩვენი დროის წარმოების მოწინავენი არიან. მოწვეულთა შორის ვხედავთ თვალსაჩინო მეცნიერებს, კულტურის მოღვაწეებს, სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავებს.

აქ არიან მრავალრიცხოვანი საზღვარგარეთელი სტუმრებიც: საპირველმაისო დღესასწაულზე სოციალისტური საშშობლოს დედაქალაქში ჩამოვიდნენ ყველა კონტინენტის ასზე მეტი ქვეყნის პროფკავშირული და მუშათა მოძრაობის, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დელეგაციები, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის მებრძოლნი.

მავზოლეუმის წინ მწყობრი რიგებად ეწყობიან სადღესასწაულო კოლონები. შრომითმა მოსკოვმა გამოგზავნა მოედანზე თავისი მუშური ავანგარდი — ისინი, ვინც მის სიამაყეს, მის დიდებას, მის ძალას შეადგენს.

„ვაშას!“ შეძახილებით, მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები გულთბადად მიესალმებიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს. მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები **ი. ვ. ანდროპოვი, ჰ. ა. ალიევი, ვ. ხ. ვორბაჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ნ. ა. ტიხონოვი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ი. დოლგიხი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, მ. ვ. ზიმიანინი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. ვ. რუსაკოვი, ნ. ი. რიჟკოვი.**

ტრიბუნაზე ადიან თვალსაჩინო საბჭოთა მხედართმთავრები.

დილის 10 საათია. ჩამოკრეს კრემლის კურანტებმა. გაისმის ფანფარების ხმა, რომლებიც გვაუწყებს დღესასწაულის დაწყებას.

„გაუმარჯოს 1 მაისს — იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!“. — გაისმის მოედანზე და აქვე კიდით-კიდემდე ქუხს მრავალხმიანი „ვაშა!“.

მავზოლეუმისაკენ მიმართულ სტენდზე წარწერილია მოწოდება „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ეს ლოზუნგი, რომელიც პირველად გაისმა „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“, მრავალგზის არის გამეორებული მოედნის სადღესასწაულო მოროულობაში.

პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ძმურ სალამს უთვლის კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, სოციალისტური ქვეყნების ხალხებს, ყველას ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობისა და სოციალური პროგრესის ინტერესები.

ხალხი და პარტია ერთიანნი არიან, და სწორედ ამაშია საბჭოთა წყობილების ძალა. წითელ არშიაში მოქცეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის სიტყვები: „პარტიის წინაშე დასახული მიზნები და ამოცანები ზუსტად გამოხატავენ ყველა საბჭოთა ადამიანის მისწრაფებებსა და მოთხოვნილებებს“.

მშრომელები დამკვრელური მუშაობით უპასუხებენ პარტიის მზრუნველობას. ალმებს, ლოზუნგებს, ყვავილებს შორის მოჩანს საკავშირო კომუნისტური შაბათობის მონაწილე მოსკოველთა პატაკები. 6,7 მილიონმა მოსკოველმა დამკვრელური შრომით აღნიშნა ვ. ი. ლენინის დაბადების 113 წლისთავი. ხუთწლედის ფონდში გადარიცხულია 24,7 მილიონი მანეთი.

მოედანზე ვხედავთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთა პორტრეტებს.

გაისმის საბჭოთა კავშირის ლენინური კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. შჩერბიცკი; ალმა-ათაში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დ. ა. კუნაევი; ტაშკენტში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შ. რ. რაშიდოვი.

სადღესასწაულო მსვლელობათა მონაწილეებს აგრეთვე გულთბილად მიესალმნენ მოკავშირე რესპუბლიკების — ბელორუსიის, აზერბაიჯანის, ლიტვის, მოლდავეთის, ლატვიის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის, თურქმენეთის, ესტონეთის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები. (საკდესი).

ДЕСЯТИЛЕТИЕ ПОБЕДЫ

ДЕСЯТИЛЕТИЕ ПОБЕДЫ В ВЕЛИКОЙ ОТЕЧЕСТВЕННОЙ ВОЙНЕ

ДЕСЯТИЛЕТИЕ ПОБЕДЫ В ВЕЛИКОЙ ОТЕЧЕСТВЕННОЙ ВОЙНЕ

ДЕСЯТИЛЕТИЕ ПОБЕДЫ

შრომის, იმედისა და გაზაფხულის ზეიმი

(დასასრული)

ის სადიდებელი შეძახილი და მთელ მტედანზე გუგუნებს მძლავრი „ვაშა!“

მავზოლეუმის ტრიბუნაზე არბიან პიონერები. ისინი ყვავილებს გადასცემენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს.

საზეიმო მარშის ხმაზე მოედანზე შემოდიან დედაქალაქის რაიონების წარმომადგენლები. წინ მოაქვთ გმირი ქალაქი — მოსკოვის დროშა.

სერგო ორჯონიკიძის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის კოლონის თავზე მოჩანს ტრანსპარანტი, რომელზეც წარწერილია: „პარტიის დავალების შეასრულებთ! ვადამდე გავგზავნით „დონ 1500“ კომბაინის წარმოებისათვის საპირო მოწყობილობას!“ პირველი მაისის დამდეგს ქარხანამ დაიწყო ექვსი ავტომატური ხაზის დამზადება ხარკოვის „ნამგალი და ურიროსათვის“, სადაც კომბაინის ძრავების გამოუშვებენ. საწარმოში უშვებენ ტექნიკას ლიხაჩოვის სახელობის ქარხნისა და გორკის საავტომობილო ქარხნისათვის, ულიანოვსკის საავტომობილო და იაროსლავლის მოტორის ქარხნებისათვის.

მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება — აი მიზანი, რომელსაც კოლექტივი ესწრაფვის. მის მიღწევას ხელს უწყობს მტკიცე შრომისა და საწარმოო დისციპლინა. „წესრიგის დამყარება არ მოითხოვს რაიმე კაპიტალდაბანდებას, სამაგიეროდ უდიდეს ეფექტს გავძლევს“, — აღნიშნა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა ჩარხმშენებლებთან შეხვედრისას. ქარხნის კოლექტივმა მოსკოვის სხვა საწარმოებთან ერთად გამოიჩინა ინიციატივა აამაღლონ დისციპლინა.

საერთო შრომისათვის მომატებული პასუხისმგებლობის გრძნობა მთავარი ნიშანია, რომელიც თითოეულ ჩარხმშენებელს ახასიათებს, თქვა გამმართველმა, ოქტომბრის რევოლუციისა და შრომის წითელი დროშის ორდენების კავალერმა ვ. ს. ბოგოსლოვსკიმ. დღეს იგი საღეესასწაულო კოლონის მეწინავეა. ეს ნიშანი კარგად ვლინდება ერთიანი განწესით მუშაობის დროს. საწარმოს ბრიგადების თითქმის ნახევარი პროგრესული მეთოდით შრომობს. და შედეგიც კარგია, მაგალითად, ჩვენი ბრიგადა დავალებებს ყოველდღიურად 120-130 პროცენტით ასრულებს.

მხურვალე დაინტერესება გამოიჩინეს ჩარხმშენებლებმა შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის პროექტის განხილვისას. ჩვენ ვიწონებთ მას და ამავე დროს გვესმის, რომ კანონი აძლიერებს არა მარტო კოლექტიურ, არამედ პირად პასუხისმგებლობასაც მაღალი მიჯნების მიღწევაში. ჩვენ შეგნებული გვაქვს ეს პასუხისმგებლობა: ყოველმა მუშამ გადაწყვიტა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქარხნისათვის სანიშნო საწარმოს წოდების მინიჭების საქმეს.

„საბჭოთა კავშირის მშრომელებო! უფრო მაღლა ასწიეთ ყველა მაჩვენებლის მიხედვით 1983 წლის გეგმის, XI ხუთწლედის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებთ შესრულებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების დროშა!“ — გაისმის მოედანზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდების სიტყვები.

ტრანსპარანტებზე ლაკონიურ სიტყვებს — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს შევასრულებთ!“ — გასდევს ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივის პატაკების სტრიქონები: 1983 წლის ოთხ თვეში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ასობით სატვირთო ავტომობილი. ვადამდე, 1 მაისისათვის გაეგზავნა სოფლის მეურნეობას ოთხი მილიონი მანეთის პროდუქცია.

ლიხაჩოვის სახელობის ქარხნის ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გახდა პარტიის XXVI ყრილობის შემდეგ მიღებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „შრომითი, მატერიალური და ენერგეტიკული რესურსების ეკონომიის უზრუნველყოფის მიზნით მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართო გამოყენებისათვის ქალაქ მოსკოვის მთელ რიგ საწარმოთა კოლექტივების ინიციატივის შესახებ“. ლიხაჩოველებმა ქვეყანაში პირველებმა შეიმუშავეს ხუთწლედისათვის კოლექტივის სოციალისტური ვალდებულებანი შრომითი, მატერიალური და ენერგეტიკული რესურსების ეკონომიის უზრუნველსაყოფად. ვალდებულებანი ითვალისწინებს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტის მიღებას — 320 მილიონ მანეთზე მეტის დაზოგვას.

— ესოდენ მაღალ მაჩვენებლებს მივაღწიეთ ჩვენი ბრიგადების ცვლების, უბნების, თითოეული მუშის შრომის შედეგად, — ამბობს კბილმჭრელი, სოციალისტური შრომის გმირი ე. მ. ეფრემოვი, — ქარხანაში შრომის კოლექტიური ფორმებით არის მოცული თითქმის 54 ათასი კაცი. ბრიგადების სამეურნეოანგარიშიანი საქმიანობა ყოველთვიურად გვაძლევს ასი ათას მანეთზე მეტ ეკონომიას.

მოწინავე თაოსნობათა ავანგარდში არიან კომუნისტები. სწორედ მათი ინიციატივით მოიწყო საწარმოში თითქმის 15 ათასი სამუშაო ადგილის ატესტაცია. პრაქტიკულად უდანახარჯოდ, მხოლოდ შრომის ორგანიზაციის სრულყოფის, მოწყობილობის დატვირთვის, თითოეული სამუშაო ადგილის გადასინჯვის შედეგად განთავისუფლდა გასულ წელს და სხვა სამუშაოებისათვის მოიცალა 500-ზე მეტმა კაცმა.

მომჭირნეობა და ყაირათიანობა დიდსა და მცირედში — ასეთია საავტომობილო ქარხნის კოლექტივის საქმიანი პასუხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებზე.

ფეხსაცმლის ფაბრიკა „პარნის კომუნის“ კოლონაში მოდის მენაშვიდეთა ბრიგადირი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ლ. ნ. ოდინოკოვა. 1 მაისისათვის მან გაახალდა ხუთწლედის სამ წლიან დ-ახალვრის დავალება.

— მივცეთ ადამიანებს მეტი კარგი და საჭირო საქონელი, გამოვუშვათ ისინი უპირატესი ტემპით წარმოების საშუალებათა წარმოებასთან შედარებით — ასე გვესახება დღეს მსუბუქი მრეწველობის წინაშე მდგომი პარტიული ამოცანა, — თქვა მან. — საგრძნობი წვლილი შემატონ მის გადაწყვეტას — ეს მიიჩნია თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად ჩვენი კოლექტივის თითოეულ მშრომელს. მოთხოვნები, რომლებითაც უდგებიან ადამიანები ჩვენს პროდუქციას, სულ უფრო იზრდება. და გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ ჯერ კიდევ ყველა შესაძლებლობა არ გამოგვიყენებია, ყველა რეზერვი არ აგვიმოქმედებია.

გაისმოს სადიდებელი შეძახილები, რომლებითაც გმმარჯვებას უსურვებენ კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ხალხს, მისი მიღწევების სათავეებთან მდგომ კომუნისტურ პარტიას. კომუნისტური პარტიისათვის არ არსებობს იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე მშრომელ ადამიანთა ქეთილდღეობისათვის ზრუნვაა. კოლონებში ეხედავთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთა პორტრეტებს, შრომითი გმირების პატაკებს.

წარმატებით შეასრულა საპირველმაისოდ ნაკისრი ვალდებულებანი პირველი სახლთსაშენებელი კომბინატის კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელსაც ვ. გ. ბორისოვი ხელმძღვანელობს. საუკეთესო კოლექტივებმა ამ ცოტა ხნის წინ ღია წერილით მოუწოდეს სამშენებლო კონვეიერის ყველა მონაწილეს გააძლიერონ სამუშაოთა ტემპი და აამაღლონ მათი ხარისხი, მიაღწიონ ყველა რგოლის აწყობილ მუშაობას. ეს ერთ-ერთი ცენტრალური სახალხო-სამეურნეო პრობლემაა. წერილ-მიმართვას ხელი მოაწერა ბორისოვმაც. დღეს იგი თანამშრომელ მეგობრებთან ერთად მოაბიჯეს სადღესასწაულო კოლონაში.

მოწინავე ბრიგადის ნაღვაწს ყველა ხედავს. ამ ბრიგადამ დაამონტაჟა ერთიანი კატალოგის უნიფიცირებული დეტალებით ახალი სერიის პირველი სახლი ხოროშევოს გზატკეცილზე. ახლა ქალაქში ასობით ამგვარი სახლია — არქიტექტურული იერსახით სხვადასხვაგვარი, მაგრამ ერთნაირად ხარისხოვანი, საცხოვრებლად მოსახერხებელი. „მუშის ინიციატივას — ინყინრის მხარდაჭერა“ — წერილ-მიმართვის ეს სიტყვები გამოხატავს გამოცდილებას, პირველი სახლთსაშენებელი კომბინატის კოლექტივმა რომ შეიძინა.

— ჩვენს მიღწევებში გამოსჭვივის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგულება, — ხაზი გაუსვა ვ. გ. ბორისოვმა. — ჩვენ გვინდა მშვიდობა და ვიბრძვით მშვიდობისათვის, ვაღწევთ შრომითს გამარჯვებებს იმ გიგანტურ სამშენებლო მოედანზე, რადაც გადაიქცა ჩვენი ქვეყანა. სსრ კავშირი მუდამ იყო, არის და იქნება პლანეტის ყველა ხალხთა მშვიდობის ბურჯი. ჩვენ მხურვალედ ვიწონებთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარეულ საგარეო პოლიტიკას. ჩვენ ვიცით, რომ აღმშენებლობითი შრომის სადარაჯოზე დგას და გვიცავს საბჭოთა შეიარაღებული ძალების ძლიერება, ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების თავდაცვითი კავშირის ძლიერება.

„გაუმარჯოს მარქსზმ-ლენინიზმს — მარად ცოცხალ რევოლუციურ ინტერნაციონალურ მოძღვრებას“! — გაისმა მოედანზე.

მარქსი და ლენინი. მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელი და მისი საქმის დიდი განმგრძობი, ჩვენი პარტიის შემქმნელი. მათი სახელები მუდამ ერთმანეთის გვერდით დგას ხოლმე. მათ განუყრელად აკავშრებს მარქსიზმ-ლენინიზმის ერთიანი მოძღვრება, ისტორიულად უკავშირდება ერთმანეთს ორი ღირსშესანიშნავი თარიღიც: კარლ მარქსის დაბადების 165 წლისთავი და რსდმ პარტიის მეორე ყრილობის 80 წლისთავი.

— შეჰყურებ ტრანსპარანტებს, შრომითი კოლექტივების პატაკებს და კიდევ უფრო ნათლად წარმოგიდგება მარქსისა და ლენინის იდეების სიდიადე, იდეებისა, რომელთა სამსახურსაც მოვაზამარე მთელი ცხოვრება, — ამბობს სკკპ წევრი 1916 წლიდან, უხუცესი ინჟინერ-ენერგეტიკოსი ა. ი. კოლპაკოვა. — მარქსიზმის შემოქმედებითმა განვითარებამ შეაძლებლობა მოგვცა 1903 წელს შეგვექმნა ბოლშევიკური პარტია — ახალი ტიპის პარტია. მხოლოდ ასეთ პარტიას შეეძლო პროლეტარიატის გამთავისუფლებელ ბრძოლას და ძლევამოსილ ოქტომბრის რევოლუციას, შეექმნა მსოფლიოს პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფო, აეშენებინა განვითარებული სოციალიზმი. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ურყეობას ადასტურებს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების, საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-გამთავისუფლებელი მოძრაობის წარმატებები. როგორც ყოველი საბჭოთა ადამიანი, ვამაყობ, რომ ჩვენი მონაწილეობით ხორციელდება რევოლუციური იდეები.

დღეს ვოიტოვიჩის სახელობის ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივის საუკეთესო წარმომადგენელთა რიგებში მოდიან იმათი შვილები და შვილიშვილები, ვინც აღდგა კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

წმიდაა ისტორიის ხსოვნა. მნიშვნელოვანია მისი ნიშანსვეტები, ჩვენ რომ დაგვიტოვეს მოსკოველმა ვაგონშემკეთებლებმა. 1894 წელი — სახელოსნოებში შეიქმნა მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრე ა. ი. ულიანოვასა და მ. ტ. ელიზაროვის მონაწილეობით.

მაღალი რევოლუციური აქტიურობა გამოიჩინეს ვაგონშემკეთებლებმა 1917 წლის ოქტომბრის დღეებში. შემთხვევითი ოდენა, რომ ქარხანა ატარებს რევოლუციის გმირის, მჭედლის, ბოლშევიკ ვასილ ერმალოს ძე ვოიტოვიჩის სახელს, რომელიც კრემლის გალავანთან „იუკერებთან შეტაკების დროს დაიღუპა.

1918 წლის 19 ივლისს მუშათა თხოვნით ვაგონშემკეთებლებს ესტუმრა ვ. ი. ლენინი. მუშებისათვის საბრძოლო პროგრამად იქცა ბელადის განაწესი — განეტიკეებინათ შრომის დისციპლინა, მიეცათ ქვეყნისათვის რაც შეიძლება მეტი პურის სამარშრუტო მატარებელი. მაგრამ მარტო პურის მატარებლების შექმნის როდი უწყობდნენ ხელს ვაგონშემკეთებლები. ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის პროპაგანდის ახალი ფორმა გახდა ლენინური აგიტმატარებელი, რომელთა ტრადიციები ააღორძინეს ჩვენს დღეებში აგიტმატარებლებმა „ახალგაზრდა გვარდიელმა“ და „ლენინურმა კომკავშირმა“.

ყოფილი სახელოსნოები რკინიგზის ვაგონების შემკეთებელ მეთაურ საწარმოდ გადაიქცნენ ჩვენს ქვეყანაში. ქარხანას ვაგონების შეკეთების ხელშეკრულება დადებული აქვს მოსკოვის კურსის სატვირთო სადგურთან, შეჯიბრებაშია ჩაბმული მინსკის, დნეპროპეტროვსკის, ლენინგრადის ვაგონშემკეთებლებთან. 80-ზე მეტი საწარმო სწავლობს მოსკოველთა მუშაობის გამოცდილებას, გრძნობს მათს დახმარებას.

შრომითი მოსკოვი ღირსეულად წარდგა საპირველმაისო დათვალიერებაზე. ახალი კოლონები შემოდიან მოედანზე.

საბრძოლო და შრომითი ჯილდოებით დამშვენებული მოდის „კომპრესორის“ მუშათა გვარდია. მას ლეგენდარული დიდება მოუხვეჭა ომისდროინდელმა პროდუქციამ — გვარდიის ნაღმსატყორცნებმა „კატიუშებმა“.

ასრულებს რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ქარხანა წელს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას მისცემს 5.400 საცალო დანადგარს.

თაობიდან თაობას გადაეცემა მუშური სიამაყე მშობლიური საწარმოსათვის, ვეტერანთა გამოცდილება და ოსტატობა, მამათა საქმის ერთგულება.

„სახელოვანო ვეტერანებო! ახალგაზრდობის დამრიგებლებო! აღზარდეთ ახალგაზრდა თაობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის რევოლუციური, ბრძოლო და შრომითი ტრადიციებით!“ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდების ეს სიტყვები 6. 6. სტეპანოვსაც ეხება. ნახევარ საუკუნეზე მეტია შრომობს იგი „კომპრესორში“. დაჯილდოებულია სამი ორდენით. ნამდვილმა მუშამ, მიაჩნია ვეტერანს, ღირსეული ცვლა უნდა აღზარდოს. საამქროში, რომელსაც 6. 6. სტეპანოვი მეთაურობდა, იშვა შესანიშნავი შრომითი თაოსნობა — გამჭოლი შეჯიბრება, რომელიც სულ მალე მთელ ქვეყანას მოედო. მისი ინიციატორი გახდა სტეპანოვის ნამოწოფაური, უფროსი ოსტატი მ. ა. პოდპორინი, რომელიც დღეს დემონსტრანტთა კოლონაში მოაბიჯეს. მან დამრიგებლის ხელიდან მიიღო შრომითი ესტაფეტა და სათავეში უდგას საამქროს, რომელშიც მუშაობს შრომითი დიდების ორდენების სრული კავალერი ვ. ა. ლუნევი.

— იმ კოლექტივებს შორის, რომლებმაც ყველა მოსკოველს მოუწოდეს აქტიურად ჩაბმულიყვნენ წარმოებაში სანიმუშო წესრიგის დასამყარებლად გაშლილ მოძრაობაში, ჩვენი ქარხანაც არის, — თქვა მ. ა. პოდპორინმა. — ხომ რაც უკეთ ვიშრომებთ, მით უკეთ ვიცხოვრებთ. ჩვენს გვერდით, კომუნისტური ბრიგადების და საამქროების რიგებში არ უნდა გავაჩაჭანოთ „ფრენები“, უქნარები, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის დამრღვევნი. მათთან მუშაობისას უნდა გამოვაყენოთ არა მარტო დარწმუნების ძალა, არამედ კანონის ძალაც. სწორედ ასეთ შესაძლებლობას გვანიჭებს სსრ კავშირის კანონი შრომითი კოლექტივების შესახებ, რომლის პროექტიც საყოველთაოსახალხო განხილვისათვის არის გამოტანილი.

„აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკებო! მიაღწიეთ სურსათითა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით ქვეყნის საიმედო უზრუნველყოფისა!“ — დროშებისა და პურის თავთავების შრიალით შემოდიან წითელ მოედანზე ტიმირიაზევის აკადემიის წარმომადგენლები.

ტიმირიაზევლთა საქმეებსა და გეგმებს გვაუწყებენ სტენდები, რომლებიც მოაქვთ სტუდენტებს, მასწავლებლებს, მეცნიერებს. 1983 წელს აკადემია 3,5 ათასზე მეტ ახალგაზრდა სპეციალისტს, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელს, მეცნიერ მუშაკს, მასწავლებელს მოამზადებს. მათი უმრავლესობა იშრომებს რუსეთის ევროპის სახელს, რომელიც კრემლის გალავანთან „იუკერებთან შეტაკების დროს დაიღუპა.

მოსკოვი. მშრომელთა დემონსტრაცია წითელ მოედანზე.

საკლეს-საქინფორმის ტელეფოტო.

„კომპრესორის“ მუშათა გვარდია. მას ლეგენდარული დიდება მოუხვეჭა ომისდროინდელმა პროდუქციამ — გვარდიის ნაღმსატყორცნებმა „კატიუშებმა“.

ასრულებს რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ქარხანა წელს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას მისცემს 5.400 საცალო დანადგარს.

თაობიდან თაობას გადაეცემა მუშური სიამაყე მშობლიური საწარმოსათვის, ვეტერანთა გამოცდილება და ოსტატობა, მამათა საქმის ერთგულება.

„სახელოვანო ვეტერანებო! ახალგაზრდობის დამრიგებლებო! აღზარდეთ ახალგაზრდა თაობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის რევოლუციური, ბრძოლო და შრომითი ტრადიციებით!“ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდების ეს სიტყვები 6. 6. სტეპანოვსაც ეხება. ნახევარ საუკუნეზე მეტია შრომობს იგი „კომპრესორში“. დაჯილდოებულია სამი ორდენით. ნამდვილმა მუშამ, მიაჩნია ვეტერანს, ღირსეული ცვლა უნდა აღზარდოს. საამქროში, რომელსაც 6. 6. სტეპანოვი მეთაურობდა, იშვა შესანიშნავი შრომითი თაოსნობა — გამჭოლი შეჯიბრება, რომელიც სულ მალე მთელ ქვეყანას მოედო. მისი ინიციატორი გახდა სტეპანოვის ნამოწოფაური, უფროსი ოსტატი მ. ა. პოდპორინი, რომელიც დღეს დემონსტრანტთა კოლონაში მოაბიჯეს. მან დამრიგებლის ხელიდან მიიღო შრომითი ესტაფეტა და სათავეში უდგას საამქროს, რომელშიც მუშაობს შრომითი დიდების ორდენების სრული კავალერი ვ. ა. ლუნევი.

— ბედნიერი ვარ ვიღვაწო მშობლიური მიწა-წყლის აყვავებისათვის, მიწა-წყლისა, რომელზეც შრომობდნენ ჩემი მამა-პაპანი, — ამბობს ვ. ს. შიპილოვი. — მაგრამ პლანეტის ცა შავად მოქუფრა. ოთხმოციანი წლების მშვიდობის პროგრამას, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ გამოაცხადა, რეიგანის ადმინისტრაცია უპირისპირებს გამალებული შეიარაღების ფორსირების კურსს. ამერიკის მხრივ ახალი ომის საშიშროება, როგორც ხაზგასმით აღნიშნა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვმა დასავლეთ გერმანიის ჟურნალ „შპიგელისადმი“ პასუხში, ის არის, რომ პირველი ბირთვული დარტყმის დაუსჯელი მოყენების იმედით არიან. მსოფლიოს მეცნიერთა ზნეობრივი ვალია გააერთიანონ მეცადინეობა ბირთვული განიარაღებისათვის ბრძოლაში. სწორედ ამას მოუწოდებენ საბჭოთა მეცნიერების მოღვაწენი „მიმართვაში მსოფლიოს ყველა მეცნიერისადმი“.

მშვიდობა, შრომა, მაისი — ამ სიტყვებს ვხედავთ ტრანსპარანტებზე, რომლებიც საუკეთესო კოლექტივების საუკეთესო წარმომადგენლებს მოაქვთ. მოდიან სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის ავტომატური ხაზების ქარხნის მუშაკები. ამ საწარმოს პირველმა მოიპოვა სანიმუშოს წოდება. გვერდით კოლონაში მოაბიჯებენ პირველი საათების ქარხნის, სხვა საწარმოების წარმომადგენლები.

ბ. ა. კოროტკოვი პარტიის XXVI ყრილობის დელეგატი, ქარხანა „დინამოს“ მუშაა. ეს საწარმო რსდმ პარტიის მეორე ყრილობის 80 წლისთავის წელს აღნიშნავს თავისი პარტიული ორგანიზაციის 80 წლისთავს. კოროტკოვს პროლეტართა რაიონის დროშა მოაქვს.

პროლეტართა, პირველი მაისის, ლენინისა — ასეთი სახელს ატარებენ დედაქალაქის მოწინავე რაიონები. ისინი გამოხატავენ

ხალხთა ძმურ ოჯახში

ლენინგრადი

როსტრალური სვეტების ფიალები საზეიმოდ გიზგიზებს ალი. ალისფრად მოურთავთ ქუჩები და მოედნები, საზეიმო ორკესტრების ხმებით მოვიდა ნევისპირა ქალაქში პირველი მაისი. და მის მუსიკალურ პალიტრაში ყველაზე ხშირად ჟღერს დღეს „კომუნისტური ბრიგადების მარში“.

ოცდახუთი წლის წინათ ჩაისახა კომუნისტური შრომისათვის პატრიოტული მოძრაობა, რომელმაც შესანიშნავი მაგალითები მოგვცა მუშათა კოლექტივების შემოქმედებითი მონაწილეობისა შრომის ნაყოფიერების გადიდებაში, დაკისრებული მოვალეობისადმი შეგნებული დამოკიდებულების ჩანერგვაში. დღეს მილიონზე მეტ ლენინგრადელს აქვს მინიჭებული კომუნისტური შრომის დამკვრელის საამაყო, საპატიო წოდება.

მათ შორის არიან დემონსტრაციის მონაწილენი, „კიროვის ქარხნის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივის ამწყობი ზინეკლება, რომელსაც ხელმძღვანელობს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ი. ზახაროვი. დღესასწაულის წინ ივანე ზახაროვმა 26 თვის ამხანაგთან — ლენინგრადის საუკეთესო ბრიგადების ხელმძღვანელებთან ერთად ქალაქისა და ოლქის მშრომელებს მიმართა, კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის იუბილეი აღნიშნონ იმით, რომ უკვე მიმდინარე წელს შეასრულონ ხუთწლედის სამნახევარი-ოთხი წლის დავალება, გამოუშვან მხოლოდ ჩინებული ხარისხის პროდუქცია.

„...კომუნისტურ ბრიგადაში წინ მიგვიძღვის ლენინი!“ — გაისმის სიმღერა ნევაზე, პროსპექტებსა და სანაპიროებზე. საზეიმოდ მორთულ მოედანზე უწყვეტ ნაკადად მოედინებიან ლენინგრადელები, ისინი ამით ადასტურებენ ოქტომბრის საქმისადმი, ლენინის საქმისადმი ერთგულებას, პარტიისა და ხალხის მონოლითურ ერთიანობას.

ქიევი

საღეესასწაულოდ მოორთულ კრეშჩატიკს — უკრაინის დედაქალაქის ცენტრალურ მაგისტრალს თეთრი მტრედების გუნდები დაჰფარფატებენ. ეს მშვიდობის, შრომისა და ბედნიერების სიმბოლოა.

დღეს ქალაქის შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები დემონსტრაციაზე მოვიდნენ ხსოვნის დამკვრელურ ვახტზე წარმატებათა პატაკებით. ეს ვახტი ყოველწლიურად ეწყობა რესპუბლიკაში და გვახსენებს მოვალეობას იმათ წინაშე, ვინც ბრძოლებში დაიღუპა ქვეყნად სიცოცხლისათვის.

დიაგრამებისა და ტრანსპარანტების, პროდუქციის მაკეტების ენით კიეველები ასახავენ თავიანთ წვლილს სკკპ XXVI ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებაში, საყვარელი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში.

ბაკო

ჩვენი ქვეყნის ბევრი ქალაქის საწარმოებში, სამეცნიერო დაწესებულებებში მუშაობენ ბაქოელი პროფესორის რასულ ყულიევის მოწაფეები. სასწავლო აუდიტორიაში კი არა, ქარხნის საამქროში, სადაც ნავთობგამოსახდელი დანადგარის ოპერატორად მუშაობდა, და ნავთობქიმიური პროცესების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიაში, რომელსაც ოცდაათი წელია ხელმძღვანელობს, აღზარდა მან ათობით ნოვატორი, გამომგონებელი, მეცნიერი.

მრავალრიცხოვან მოწაფეებთან ერთად გამოვიდა ვეტერანი საპირველმაისო დემონსტრაციაზეც. მათ მოაქვთ ტრანსპარანტი, რომელსაც შრომითი პატაკი აწერია. მეცნიერის მიერ შეთავაზებული ტექნოლოგიით სკკპ XXII ყრილობის სახელობის ბაქოს ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ გამოუშვა ასიათასობით ტონა გაუმჯობესებული ხარისხის საპონი ეკონომიკური კრიზისის მთელი სიმძიმე დააკისრონ შრომელებს.

ნიუ-იორკი. „ავლაგმოთ გამალებული ბირთვული შეიარაღება! „შეეწყვიტოთ ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევა ცენტრალურ ამერიკაში!“ „ჩვენ გვინდა მშვიდობა და სამუშაო!“ — ასეთი ლოზუნგებით გაიმართა ნიუ-იორკში ამერიკის პროგრესული საზოგადოებრიობის მასობრივი მანიფესტაცია, რომელიც მიეძღვნა შრომელთა საერთაშორისო ლოდარობის დღეს. ქალაქის ცენტრში „იუნიონ-სკვერში“ გაიმართა საღეესასწაულო მიტინგი.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რამდენიმე რეზოლუცია, რომლებიც გაუგზავნეს პრეზიდენტ რეიგანს, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს. დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ საჭიროა შეწყდეს ომში გამალებული შეიარაღება და დაიდოს საბჭოთა კავშირთან შეთანხმება ბირთვული არსენალების დაუყოვნებლივ გაყინვის შესახებ, აგრეთვე

სისხლით შედუღაბებული ძმობა

1 მაისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა მიიღო იტალიელ პატრიოტთა და ანტიფაშისტთა — წინააღმდეგობის მონაწილეთა ჯგუფი, რომელიც ტრადიციისამებრ მაისობაზე ჩამოვიდა ჩვენს რესპუბლიკაში.

გულთბილად მიესალმა რა ძვირფას სტუმრებს, ამხ. პ. გილაშვილმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთ კონტაქტებს, რომლებიც ხელს უწყობენ ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის გაღრმავებას.

იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა სახელით გამოვიდნენ ერთ-ერთი მისი მამაცი მებრძოლი, კომუნისტი და მგზნებარე ანტიფაშისტი ბრუნო კალეტი და ცნობილი იტალიელი პარტიზანის ვაკი, ახალგაზრდა რკინიგზელი ვეკი ფაუსტო, რომლებმაც გულითადი მადლობა გადაიხადეს გულთბილი და მხურვალე მისამართისათვის, რომლითაც მათ ყოველთვის ხვდებიან საქართველოში. მათ თქვეს, „ოქ არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული, რომ ყველამ, ვისაც ომი გადაუტანია, კარგად იცის მშვიდობის ფასი. ამიტომ დღეს ასე მჭიდროდ აკავშირებენ ისინი თავიანთ რიგებს განიარაღების, ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

სიტყვები მშვიდობისა და მეგობრობის, სისხლით შედუღაბებული საბჭოთა და იტალიელი პატრიოტი ინტერნაციონალისტების ძმობის შესახებ ჟღერდა საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის სექციის პასუხისმგებელი მდივნის ვ. სმირნოვისა და სხვათა გამოსვლებში.

შეხვედრის მონაწილეებმა ერთმანეთს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს. (საქინფორმი).

მაისობა ჩვენს პლანეტაზე

პრაღა. მთელ ჩეხოსლოვაკიაში გაიმართა მშრომელთა საპირველმაისო მანიფესტაციები. პრაღაში დემონსტრაციის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი გუსტავ ჰუსაკი. დღეს, თქვა მან, ამხანაგურ სალამს ვუძღვნით ჩვენს ყველაზე ახლობელ მეგობრებს — საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხებს. წლეულს საპირველმაისო მანიფესტაციები მიმდინარეობს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის ნიშნით.

ფხენიანი. მაღალი შრომითი აქტიურობის ვითარებაში შეხვდნენ საპირველმაისო დღესასწაულს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები. ქვეყნის ყოველი რაიონიდან დედაქალაქში მოდის ცნობები მეორე შვიდწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში შრომითი კოლექტივების წარმატების შესახებ, რაც მნიშვნელოვანი ეტაპია ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გზაზე.

ვარშავა. მშრომელთა სოლიდარობის საერთაშორისო დღის 1 მაისისადმი მიძღვნილ აქ გამართულ საზეიმო კრებს ესწრებოდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, არმიის გენერალი ვ. იარუზელსკი, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები, დედაქალაქის შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მუშათა

თბილისი. 1983 წლის 1 მაისი. მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაციაზე. სურათზე: ცენტრალური ტრიბუნაზე.

ხ. კილაძის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი მაისის მოხმობის ნიშნები: მშვიდობა, გარჯა, მეგობრობა

(დასასრული)

გაისმის ფანფარების ხმა. ისინი გვამცნობენ თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების საპირველმაისო დემონსტრაციის დაწყებას.

მშრომელ ადამიანთა სადიდებლად მოედანზე გაისმის „მრავალჟამიერი“.

მედროშეთ მოაქვთ ალისფერი ალმები. ამ დროშებით მიდიოდნენ ძველ სამყაროსთან საბრძოლველად მუშები, ამ დროშებით გამოვიდნენ რამდენიმე დღის წინათ ქალაქის მშრომელები შრომის დღესასწაულზე — კომუნისტურ შაბათობაზე.

მოედანზე გაისმის სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდება: **„გაუმარჯოს 1 მაისს — იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!“** ამ მოწოდებას ერთსულოვნად უპასუხებენ მოედანზე გამოსული ლენინისა და გლდანის რაიონების დემონსტრანტთა კოლონები მძლავრი შეძახილით — „გაუმარჯოს!“.

საზეიმო მარშის მონაწილეთა შორის არიან თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის სახელგანთქმული კოლექტივის წარმომადგენლები. ამ საწარმოს ისტორიაში 85 პირველი მაისი იყო. ორმოცდაათ საპირველმაისო დღესასწაულზე, ისევე როგორც დღეს, სოციალისტური შრომის გმირი, მკედელი კონსტანტინე ილურიძე თავისი ქარხნის მუშათა კოლონაში მოაბიჯებდა დემონსტრაციის დროს. წელს საქართველოს დედაქალაქის უძველეს საწარმოს ასი წელი უსრულდება, ხოლო მის პარტიულ ორგანიზაციას — ოთხმოცდაათი.

— ჩვენს საქარხნო მუზეუმში არის მასალები რესპუბლიკაში პირველი მაისობების შესახებ, — გვიამბობს ვეტერანი. — რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშები, ასე უწოდებდნენ მაშინ ქარხანას, თავს იყრიდნენ ტყეში, კონსპირაციულ ბინაში ჯანდარმერიისგან მალულად. აქ ყალიბდებოდა საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციის ბირთვი. ჩვენი 28 მუშის — რევოლუციის მებრძოლების სახელები შემთხვევით როდი ეწოდა თბილისის ქუჩებსა და მოედნებს.

მათ საქმეთა ღირსეული განმგრძობია კომუნისტი კონსტანტინე ილურიძე. ქარხნის მუზეუმში შენახულია ურო, რომლითაც იგი სამჭედლო საქმეს სწავლობდა. დაახლოებით ამ მუშას მიაჩნია თავი ილურიძის მოწაფედ, ოღონდ ახლა ისინი მძლავრ წნეხებს მართავენ. და არის რაღაც სიმბოლური იმაში, რომ სამჭედლო საამქროს პირდაპირ კვარცხლბეკზე დგას ბოლოს შეკეთებული ორთქლმავალი. დემონსტრაციაზე კი სამჭედლო საამქროს მუშებმა გამოტანეს მეტროს ელექტროსეტქციის მაკეტი. ტრანსპარანტებზე გამოსახული ციფრები მოწმობს: ბოლო ორ ათწლეულში ქარხანამ მეტი მოცულობის სამუშაოები შეასრულა, ვიდრე წინა რვა ხუთწლედში.

ამ დღეებში ჩვენი ქარხანა განსაკუთრებით მჩქეფარე ცხოვრების ფერხულშია ჩაბმული, — თქვა შთამომავლობით მუშამ, კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელმა, კომკავშირის პრემიის ლაურეატმა მერაბ გაჩეჩილაძემ, — მიმდინარეობს საწარმოს 100 წლისთავისა და გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის მზადება. სულ რამდენიმე დღის წინ ქარხნის კოლექტივმა დაისახა ახალი მიზნა — საიუბილეო თარიღების აღსანიშნავად მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე, შუაგული წლის პროგრამა ათ თვეში შესასრულოს. მას ხელს შეუწყობს სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც გავშალეთ ნოვოროსიისკის ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივთან.

დამაჯერებლად გაისმის გლდანელთა შრომითი პატაკიც: რაიონში თითქმის ყოველ მეორე ნაკეთობას ხარისხის სახელმწიფო ნიშანი აქვს, პირველი მაისის წინ აქ ახალმოსახლეობა იზეიმა თბილისელთა ასობით ოჯახმა.

მარშზე არიან პირველი მაისისა და ოქტომბრის რაიონების მშრომელთა წარმომადგენლები, ერთ-ერთ კოლონას მოუძღვის ლენინის ორდენოსანი „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველოს კოლექტივი. თავისი დაბადების ოცდაათ წლისთავს აღნიშნავს იგი ამ პირველ მაისს.

— ჩვენ ახლა ვაჩქარებთ მეტროპოლიტენის ახალი ხაზის მშენებლობას გლდანისა და ვარკეთილის მიმართულებით, — თქვა წარჩინებულმა მეტრომშენებელმა, სოციალისტური შრომის გმირმა ალექსანდრე დათაშვილმა. — ჩვენი კომპლექსური ბრიგადა მნიშვნელოვნად უსწრებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გრაფიკს. ამოცანა განსაზღვრულია კონკრეტულად: წლიური დავალება შევასრულოთ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის დღესასწაულისათვის.

წითელ ტილოებზე, რომლებიც მაღლა აღმართული უჭირავთ დემონსტრატა კოლონებს, წარწერილია საპირველმაისო მოწოდების სიტყვები:

— საბჭოთა კავშირის მშრომელებო! უფრო მაღლა ასწიეთ ყველა მაჩვენებლის მიხედვით 1983 წლის გეგმის, XI ხუთწლედის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების დროშა!

დიე, უფრო ძლიერი, მდიდარი და ლამაზი გახდეს ჩვენი დიადი მრავალეროვანი სამშობლო!

— წელს ვალდებულება ვიკისრეთ გამოვიმუშაოთ 400 ათასი მანეთის ქსოვილები, — თქვა თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების პარტკომის მდივანმა მ. ბურდულმა. — ეს პასუხსაგები ამოცანაა. მუშაობის კარგი შედეგის მთავარ ფაქტორად მიგვაჩნია შრომის ნაყოფიერების გაზრდა თითოეულ სამუშაო ადგილას. ამას ემსახურება შრომისა და საწარმოო დისციპლინის ყოველმხრივ განმტკიცება.

გაერთიანებაში საქმიანი გამოხმაურება გამოიწვია მოსკოველთა ინიციატივამ „პატივი და დიდება შრომის მახედვით!“ ჩვენს კოლექტივში თითქმის არ არის გაცდენები, წუნის თითოეულ შეთხვევას მივიჩნევთ საგანგებო შემთხვევად და დაუყოვნებლივ გამოგვაქვს აქედან დასკვნები.

კალინინის რაიონის დემონსტრანტთა კოლონაში ფეიქრებთან ერთად მოაბიჯებენ მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი. რესპუბლიკის მეცნიერები ახლა წყვეტენ ძირითად სახალხო-სამეურნეო პრობლემებს. ისინი მონაწილეობენ 48 საკავშირო და რესპუბლიკური კომპლექსური პროგრამის რეალიზაციაში. ფართო განვითარება პოვა სასურსათო პროგრამასთან დაკავშირებულმა ნამუშევრებმა. ამაზე მუშაობენ 18 აკადემიური ინსტიტუტის სპეციალისტები.

თავბინთი გამოკვლევებით ქართველი მეცნიერები ხელს უწყობენ მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის დაჩქარებას, ინტენსიური განვითარების გზაზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის გადაყვანას. მათი ნამუშევრების დანერგვის შედეგად მიღებული ეკონომიკური ეფექტი ათობით მილიონ მანეთს შეადგენს.

მოდიან რუსთაველის სახელობის საქვეყნოდ ცნობილი თეატრის მსახიობები. ასმეერთე სეზონს ეს შემოქმედებითი კოლექტივი ეგებება მეორე ახალგაზრდობის პერიოდით. იგი აღმავლობის გზაზეა, აღსავსეა ახალი გეგმებითა და ჩანაფიქრებით.

წლითიწლობით იზრდება თანამედროვე ქართველი პოეტებისა და პროზაიკოსების აღიარება. საბჭოთა კავშირის ხალხთა მრავალეხაზე გამოცემულია ირაკლი აბაშიძის, ნოდარ დუმბაძის, ოთარ ჭილაძის, ჭაბუა ამირეჯიბისა და სხვათა ნაწარმოებები, რომლებმაც ქვეყანაში და საზღვარგარეთ მკითხველთა უფართოეს აუდიტორიაში პოპულარობა დაიმსახურეს. გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის მზადების დღეებში განსაკუთრებით იგრძნობა ქართულ და რუსულ ლიტერატურათა, საბჭოეთის ყველა მომძე რესპუბლიკის ლიტერატურათა მჩქეფარე, ნაყოფიერი კავშირი.

კინოს საშუალებებით ამას ასახავს ახალი ფილმი „წიგნი ფიცისა“, რომელსაც „ქართული ფილმი“ იღებს. ამ კინოპოპეაში მონაწილეობენ ქართული თეატრისა და კინოს საუკეთესო მსახიობები. ფილმის სრულიად საკავშირო პრემიერა ტელევიზიითაც მოეწყობა შემოდგომაზე, საიუბილეო დღესასწაულის დღეებში. ამ დღესასწაულს დაუკავშირდება რუსეთის ფედერაციაში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დღეებიც, სადაც ჩვენი კულტურა წარმოდგენილი იქნება მთელი თავისი მრავალფეროვნებით.

მოედანზე გაისმის საპირველმაისო მოწოდების სიტყვები:

— გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ ინტერნაციონალურ ერთიანობასა და ძმურ მეგობრობას — ჩვენი საზოგადოების ძლიერების ცხოველმყოფელ წყაროს!

ეს მოწოდება განსაკუთრებით ახლობელი და ძვირფასია კიროვის რაიონის მშრომელებისათვის. დიდი მეგობრობა აკავშირებს თბილისისა და სვერდლოვსკის ორ უძველეს რაიონს, რომლებიც მგზნებარე რევოლუციონერის სახელს ატარებენ. მეგობრობა და შრომითი მეტოქეობა მათ ეხმარება ახალ წარმატებებს მიაღწიონ კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

— სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩემი „მეტოქეა“ — გაერთიანება „ურალფეხსაცმლის“ მუშა ლიდია პეტრეს ასული კორსუკოვა, —ამბობს თბილისის წინდის გაერთიანების მოტორისტი მკერავი ნინო პანკოვა. — იგი შესანიშნავი სპეციალისტი და ამხანაგია. ჩვენ რეგულარულად ვხვდებით ერთმანეთს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიებზე, ვუგზავნით ერთმანეთს წერილებს.

მუშაობის ხარისხი და შრომის დისციპლინა განუყოფელი ცნებებია. აი რატომ იყო, რომ მთელ რესპუბლიკაში ასეთი ფართო რეზონანსი გამოიწვია თბილისელ ავიაშენებელთა პატრიოტულმა ინიციატივამ, რომელიც 1983 წლის 10 იანვარს იშვა. „სანიმუშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიურობა და პასუხისმგებლობა თითოეულისაგან, ყველგან და ყველაფერში!“ ეს იყო საქართველოს დედაქალაქის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოს კოლექტივის საქმიანი პასუხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებზე.

დიმიტროველთა კოლონაში მოაბიჯენენ ქარხნის მოწინავე ადამიანები, რომელთა სახელი დღეს ყველა თბილისელისთვისაა ცნობილი, ერთ-ერთი მათგანია საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ამწყობი ზეინკალი შოთა ლობიშვილი.

— ბრძოლას დისციპლინისა და მაღალი ორგანიზებულობისათვის ჩვენს კოლექტივში თავისი ტრადიციები და ისტორია აქვს. თავის დროზე ჩვენთან იშვა სოციალისტური შეჯიბრების თაოსნობა „თითოეული საწარმო რესპუბლიკაში, ქვეყანაში საუკეთესოთა შორის!“ ამ დევიზით დღეს შრომობენ არა მარტო ჩვენი საქარხნო რაიონის კოლექტივები, არამედ რესპუბლიკის ბევრი საწარმოც. და ამიტომ თითოეული ჩვენგანის, ავიაშენებლის, ღირსების საქმეა ვიყოთ მაღალი დისციპლინიანობის, ჩვენი მუშური ვალისადმი, საზოგადოებრივი მოვალეობებისადმი მაღალი დისციპლინიანობის მაგალითი, კეთილსინდისიერად ვეკიდებოდეთ ჩვენს მუშურ ვალს, საზოგადოებრივ მოვალეობებს.

არა მარტო საქარხნო რაიონის, არამედ მისი მეზობელი — 26 კომისრის სახელობის რაიონის საწარმოთა მუშაობა საქმისადმი ასეთი მიდგომის შესანიშნავი მაგალითია. ავიღოთ, მაგალითად, „მიკროძრავის“ ქარხანა. აქ მთელ ძირითად პროდუქციას ხარისხის სახელმწიფო ნიშანი აქვს მინიჭებული.

— ჩვენს წარმატებებს სამართლიანად ვინაწილებთ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულ მეგობრებთან ერთად, — თქვა შიგმჩარხავმა ხარატმა ვლადიმერ მამისაშვილმა. — მათ შორის არიან მოსკოვის მექანიკური და ლობნოს ელექტრომექანიკური ქარხნების მუშაკები. ისინი გვეხმარებოდნენ ახალი ძრავების ათვისებაში არა მარტო დეტალებისა და აღჭურვილობის მოწოდებით, არამედ საქმიანი რჩევა-დარიგებით, კონსულტაციებით. მეგობრები ეს ის ძალაა, რომელიც ყოველთვის გვეხმარებოდა დიდსა და პატარა საქმეში.

თითოეული დღესასწაული თბილისში მეგობრობისა და ძმობის კიდევ ერთი ზეიმია. და საქმე მარტო ის კი არ არის, რომ მილიონიანი მოსახლეობის ქალაქში ცხოვრობენ 80-ზე მეტი ერისა და ეროვნების წარმომადგენლები. მთავარია ის, რომ თითოეული თავისი შრომითი დღით ამრავლებს საერთო დოვლათს, თავისი წვლილი შეაქვს საბჭოთა ხალხების ერთიანი ოჯახის მიღწევებში.

— თითოეული ოჯახის მომავალია მისი შვილები, ქვეყნის მომავალია — მოზარდი თაობა, — თქვა პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა ნათელა ლაღიძემ. —საკმარისია შეხედოთ ჩვენი რაიონის დემონსტრანტთა კოლონებს და თქვენ დარწმუნდებით, რომ იგი ყველაზე ახალგაზრდულია. აქ მხარდამხარ მოაბიჯებენ ქუთაისელი და სოხუმელი, თელაველი და ლენინგორელი, ბათუმელი და ადგენელი, ტყიბულელი და მესტიელი ქალიშვილები და ჭაბუკები, ისინი ყველანი დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები არიან.

მწყობრ რიგებად მოდიან უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები, მომავალი პედაგოგები და მედიკოსები. ისინი გვიპატაკებენ თავიანთ წარმატებებს სწავლაში, საზოგადოებრივ მუშაობაში, მესამე შრომითი სემესტრის მშენებლობებზე, მინდვრებსა და პლანტაციებში. უწყვეტ ნაკადად ერწყმიან ერთმანეთს სტუდენტთა და მუშათა მომავალი ცვლის მწკრივები. მიკროსქემების ამწყობები, სამრეწველო რობოტების გამმართველები და მერქმონტეები, რთული ვაკუუმური პროცესების ოპერატორები... ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ეს სპეციალობები არ ყოფილა საქართველოში, დღეს კი სახალხო მეურნეობის მტკიცე ნაბიჯმა ისინი მოითხოვა. სხვა მრავალთა შორის მათ წარმატებით ეუფლება ახალგაზრდობა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ფართო ქსელში.

მოედანზე გამოდიან პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები. ტრადიციისამებრ ისინი ხუროვენ სადღესასწაულო სვლას. ეს ტრადიცია ცხოვრებითაა ნაკარნახევი: მომავალი ახალგაზრდობას ეკუთვნის. ხოლო მომავალს მშვიდობა ესაჭიროება.

— გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ ლენინურ საგარეო პოლიტიკას!

გაანეიტრალეთ საბჭოთა საამშვიდობო პროგრამას! —მრავალხმიან ექოდ გაისმის მოწოდება. იმათ შორის, ვინც აიტაცა ეს მგზნებარე მოწოდება, არიან იტალიის წინააღმდეგობის მონაწილენი, რომლებიც ტრადიციისამებრ საპირველმაისო დღესასწაულზე ჩამოდიან საქართველოს დედაქალაქში.

— დიდება მშვიდობას!

— დიდება შრომას!

— დიდება მეგობრობას!

საპირველმაისო დემონსტრაცია თბილისში გადაიქცა პარტიისა და ხალხის ერთიანობის დღესასწაულად. მან დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი ცხოვრობს დამკვრელური შრომისა და შემოქმედებითი ძიების ერთიანი რიტმით, რომ ისინი ერთგული არიან კომუნიზმის იდეალებისა, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი პირნათლად განახორციელონ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი.

(საქინფორმი).

სურათებზე: საპირველმაისო დემონსტრაცია თბილისის მთავარ მოედანზე.

ხ. კილაძისა და თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

დღესასწაულობს საქართველო

ძმობის, მეგობრობის, შემოქმედებითი შრომის ვითარებაში, ხალხიანი განწყობილებით იზეიმა წლევანდელი მაისობა მთელმა საქართველომ. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში საპირველმაისო დემონსტრაციებზე მხიარულად მოაბიჯებდნენ ახალგაბრწყინებული, ხვალინდელი დღისა და საუკეთესო მერმისის იმედით აღსავსე საბჭოთა ადამიანები. სწორედ ამ ზეიმიბაზე გვატყობინებენ ჩვენი გაზეთისა და საქინფორმის კორესპონდენტები.

სოხუმი

სოხუმი მეგობრობისა და ძმობის ქალაქია. გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის მზადების დღეებში მისი მშრომელები მთელ მეცადინეობას ახმარენ იმას, რომ ღირსეულად შეხვდნენ მეგობრობის ამ მანიფესტის იუბილეს. 70-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები მონაწილეობენ ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. შთამბეჭდავია მათი პატაკი: სამაისო შრომითი ვახტის დღეებში გამოშვებულია 400 ათას მანეთზე მეტი ღირებულების ზეგეგმითი პროდუქცია.

კიდევ უფრო შთამბეჭდავია ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევები. წარმატებით ხორციელდება აღმშენებლობის გრანდიოზული პროგრამა — სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება გუდაუთის, ოჩამჩირის რაიონებისა და ქალაქ ტყვარჩელის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ.

ვ. ი. ლენინის ძეგლის წინ მოედანზე მოდიან ხელსაწყომშენებლები, მეფეხსაცმლეები, ნავსადგურის მუშაკები, გემთშემკეთებლები, რკინიგზელები, ავტოტრანსპორტის მუშაკები, მქსოველები, მკერავები, მეჩაიეები, მეცატრუსეები, მექანიზატორები. დემონსტრანტების რიგებში არიან მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სტუდენტები, ჯანმრთელობის კერების, ტურბაზების, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები.

საპირველმაისო დემონსტრაციის მონაწილეებს მიესალმნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. ადლეიბა, ავტონომიური რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები.

ბათუმი

ალისფრად შემოსილი, საგზაფხულოდ აყვავებული შეხვდა პირველ მაისს საბჭოთა აჭარის დედაქალაქი ბათუმი. როგორც ყოველთვის, დღესასწაულის დღეს საზეიმოდ მორთულა ლენინის მოედანი. ტრიბუნას და შენობების ფასადს ამშვენებს სსრ კავშირის, მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო დროშები და გერბები.

ცხინვალი

აჩქარებს რა დამკვრელური შრომის ტემპს, კვაისის ტყვიათუთიის მაღაროთსამმართველოს კოლექტივმა წარმატებით შესასრულა ოთხი თვის გეგმები და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. სამშობლომ მიიღო ასობით ტონა ტყვიისა და თუთიის მაღალხარისხოვანი კონცენტრატები.

სამხრეთ ოსეთის დედაქალაქში დემონსტრატების კოლონების თავზე აღმართული ტრანსპარანტები მოწმობს მთის მხარის მცხოვრებთა შრომითს მიღწევებს. სწრაფი ტემპით ვითარდება ავტონომიური ოლქის ინდუსტრია. 1922 წელთან შედარებით 160-ჯერ და მეტად გაიზარდა სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა.

სამხრეთ ოსეთის შრომითმა კოლექტივებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება პირველი მაისის ღირსეული შეხვედრისათვის და ემზადებიან ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნონ ვეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი. წლის დამდეგიდან ცხინვალის მრეწველობამ გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია, მათ შორის 800 ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი. ეს სამჯერ მეტია 1982 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

ტრიბუნიდან დემონსტრანტების კოლონებს მიესალმნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სანაკოევი, ავტონომიური ოლქის სხვა ხელმძღვანელები.

ქუთაისი

„გაანეიტრალეთ ლ. ო. თ სკკპ XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი!“ — ასეთი დევიზით გაიმართა ქუთაისის მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაცია.

გამარჯვების მოედნისაკენ მიემართებიან საავტომობილო, ელექტრომექანიკური, მინის ტარის, საკონსერვო ქარხნების, სამკერვალო და მაუდის ფაბრიკების, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციების, უმაღლესი და სამუშაო სასწავლებლების კოლექტივები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

კოლონებს წინ მიუძღვიან შრომის მოწინავენი, რომლებმაც ვადამდე უპატაკეს სამშობლოს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება. ტაშით შეხვდნენ ზეიმის მონაწილენი ავტოჭარხნელებს, რომლებიც წარმატებით ითვისებენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ახალი ავტომატარებლების გამოშვებას. საწარმოში თითქმის ყოველდღე მწყობრში დგება ახალი სიმძლავრეები, უბნები, დაიწყო დიზელის ძრავების სერიული წარმოება. მალე ამუშავდება კაბინების აწყობისა და ღებვის უბნები.

ახალი ავტომატარებლების შექმნაში მონაწილეობს ქვეყნის ბევრი საწარმო. სულ უფრო ფართოდება ქუთაისის ავტოჭარხნის კონტაქტები კამის ავტოქარხანასთან, ურალის, მოსკოვის, გორკის ქარხნებთან. ამ საწარმოთა წარმომადგენლები ქუთაისის მშრომელებთან ერთად გამოვიდნენ საპირველმაისო დემონსტრაციაზე.

რუსთავი

მეორედ შეხვდნენ პირველი მაისის დღესასწაულს საქართველოში ვიეტნამელი დაკ ლიკ, კამპუჩიელი კანალ სოვანარა, ლაოსელი სუმ საი. თანამემამულეებთან ერთად, რომლებიც რუსთავის №3 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში სწავლობენ, მათ მონაწილეობა მიიღეს რუსთავში გამართულ საპირველმაისო დემონსტრაციაში.

რუსთავი ინტერნაციონალური ქალაქია. აქ ერთსულოვან ოჯახად ცხოვრობენ 64 ერისა და ეროვნების წარმომადგენლები. დიდ წარმატებებს მიაღწიეს მათ სამაისო შრომითს ვახტზე. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მეტალურგებმა, ამწემშენებლებმა, რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ მშრომელებმა, რომლებმაც დაძლიეს ჩამორჩენა და რიტმულად მუშაობენ.

რუსთავის ლენინის სახელობის მოედანზე შემოსულ მეტალურგიული ქარხნის კოლონას წინ უძღვიან პირველი მაისის აღსანიშნავად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი, წარჩინებული მეფოლადეები — სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ო. ლომიძე, გ. ფანჩვიძე და სხვები. მეტალურგების სახელით ისინი უპატაკებენ სამშობლოს, რომ ოთხი თვის დავალება შესრულდა.

მოდიან საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს №1 ლენინის ორდენოსანი ტრესტის მშრომელები. რუსთაველ მშენებლებს ბევრი რამ აქვთ საამაყო. წლის დამდეგს აქ საექსპლოატაციოდ ჩაბარეს მეტალურგიული ქარხნის საადლომერაციო ფაბრიკა, წარმატებით აწარმოებენ ქიმიური ბოჭკოს ქარხნის რეკონსტრუქციის სამუშაოებს, გადაჭარბებით შეასრულეს საბინაო მშენებლობის გეგმა.

* * *

სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისში, რუსთავში, საქართველოს ყველა ქალაქსა და რაიონში გამართულმა სადღესასწაულო დემონსტრაციებმა ნათლად ცხადყვეს შშობლიური კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო რესპუბლიკის მშრომელთა მჭიდრო დარაზმულობა, მათი მტკიცე გადაწყვეტილება ღირსეულად შეხვდნენ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს, მთელი ძალ-ღონე მოიახმარონ პარტიის გეგმების წარმატებით შესრულებას.

სურათზე: ზეიმი თბილისის მოედან ზე.

ჯ. ლომაძის ფოტო.

1983 წლის 1 მაისი

დემონსტრანტთა სადღესასწაულო კოლონები სოხუმში, ბათუმში და ცხინვალში.

[redacted]

ი. ჭოხონელიძის, ნ. ანასტასიევის და ლ. გუსლოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ქვეყნად მშვიდობისა და სიცოცხლისათვის

ნ. ბლოხინი,

აკადემიკოსი, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“

საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე.

მთავარია მშვიდობა. ამ ტევადი სიტყვებით გახსაზღვრა ვ. ი. ლენინმა ჩვენი სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის არსი ჯერ კიდევ მისი ჩამოყალიბების გარიჟრაჟზე.

და მთელი ეს წლები — როგორც მშვიდობიანი, ისე მკაცრი ომიანობის წლები, — რომლებიც ლენინურ ზავის დეკრეტსა და ახლანდელ 80-იანი წლების მშვიდობის პროგრამას შორის ძევს, საბჭოთა სახელმწიფო თანამიმდევრულად და გარუჯულად აზორციელებდა ხალხთა შორის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის პოლიტიკას.

„საბჭოთა კავშირი, — თქვა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა, — ყველაფერს იღონებს, რათა უზრუნველყოს ახლახდელი და მომავალი თაობების უშფოთველი მშვიდობიანი ომმავალი. ეს არის ჩვენი პოლიტიკის მიზანი და მას არ გადავუხვევთ“.

გამალებული შეიარაღების შედეგმი გაძლიერების უპრეცედენტო მილიტარისტულ პროგრამას, ომოელსაც ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ადმინისტრაცია ახორციელებს, მსოფლიოს ხალხები უპირისპირებენ მსოფმრივ ომისაწინააღმდეგო გამოსვლებს. მილიონობით ადამიანს სულ უფრო უკეთ ესმის, რომ ლოდინის დრო აღარ არის. პენტაგონი და ნატო მკვეთრად ზრდიან ბირთვული მოსპობის საშუალებებს და ახალი, კაცობრობის ისტორიაში ანრახული დამანგრეველი ომის პირას მიპყავთ მსოფლიო. საფრთხეშია თვით ადამიანთა სიცოცხლე, ჩვენი პლანეტის არსებობა. საჭიროა სასწრაფო ღონისძიებები, ყველა ხალხის ერთიანი ნება, რათა შეკავიროთ ომის გამჩაღებლები, შეწყდეს გამალებული შეიარაღება და დაიწყოს განიარაღება.

ხალხთა მშვიდობიანი მომავლისათვის მებრძოლთა ავანგარდში დგანან დედამიწის საუკეთესო შვილები. მათი ღვაწლის დიდი დადასტურებაა ლენინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“. ეს სანატო ჯილდო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააწესა ოცდაათ წელზე მეტი ხნის წინ— როცა იმპერიალიზმს „ცივი ომი“ ჰქონდა გაჩაღებული, იმ წლებში, როცა ამერიკის შეერთებული შტატები ატომურ შანტაჟს მიმართავდა სოციალისტური ქვეყნების მიმართ.

ამ დროის მანძილზე პრემიის ლაურეატები გახდნენ უთვალსაჩინოესი სახელმწიფო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა წარმომადგენლები, თვალსაჩინო მეცნიერები, მწერლები, რელიგიური მოღვაწენი მსოფლიოს ათობით ქვეყნიდან. ლაურეატთა სიას ამშვენებს ისეთი სახელები, როგორიც არის ფრედერიკ ჟოლიო-კიური და პოლ რობსონი, ლუი არაგონი და პაბლო ნერუდა, ჯონ ბერნალი და ბერტოლდ ბრეხტი, ანჯელა დევისი და ფრიდა ბრაუნი.

საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის გადაწყვეტილებით, რომელშიც საბჭოთა და საზოგადოებრივი თვალსაჩინო წარმომადგენლები შედიან, 1980-1982 წლების პრემიის ლაურეატთა წოდებანი მიენიჭათ კომპოზიტორს, საზოგადო მოღვაწეს მიკის თეოდორაკისს (საბერძნეთი), პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს ლიბერ სერენის (ურუგვაი), პოეტს, საზოგადო მოღვაწეს მაჰმუდ დერვიშს (პალესტინა) და პასტორს, საზოგადო მოღვაწეს ჯონ მორგანს (კანადა).

ცნობილი ბერძენი კომპოზიტორი **მიკის თეოდორაკისი** საბერძნეთის შვიდობის მომხრეთა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, შვიდობის, დემოკრატიისა და პროგრესის თანამბრძოლი და შეურიგებელი მებრძოლია. მისი სიცოცხლე ხალხთა შორის შვიდობისა და მეგობრობის იდეალების უანგარო სამსახურის მკაფიო მაგალითია.

მ. თეოდორაკისი დაიბადა 1925 წელს. მუსიკალური განათლება მიიღო ათენისა და პარიზის კონსერვატორიებში. ჩვიდმეტი წლის ჭაბუკი იყო, როცა აქტიურ მონაწილეობას იღებდა ფაშისტური გერმანიის მიერ საბერძნეთის ოკუპაციისადმი წინააღმდეგობის მოძრაობაში. ომისშემდგომ წლებში ბანდა საბერძნეთის ახალგაზრდული მოძრაობის ლიდერი, იყო „ლამბრაკისის დემოკრატიული ახალგაზრდობის“ ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე. არჩეული იყო საბერძნეთის პარლამენტის დეპუტატად ერთიანი დემოკრატიული მემარცხენე პარტიისაგან (ედა).

1967 წელს, სახელმწიფო გადატრიალების შედეგად სამხედრო ხუნტის გახელისუფლების შემდეგ, მ. თეოდორაკისი საპყრობილეში მოათავსეს, შემდეგ საკონცენტრაციო ბანაკში დაამწყვდიეს, ხოლო 1970 წელს ქვეყნიდან გაასახლეს.

1974 წელს სამხედრო ხუნტის დამხობის შემდეგ იგი საბერძნეთში დაბრუნდა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა პროგრესული ძალების ბრძოლაში ქვეყნის დემოკრატიზაციისათვის.

მ. თეოდორაკისი ფართოდ არის ცნობილი როგორც საბერძნეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ თავისი მუსიკალური და საზოგადო მოღვაწეობით. იგი პარლამენტის დეპუტატია. არის საბერძნეთში ომის მოწინააღმდეგეთა მოძრაობის/ აქტიური მონაწილე, იღვწის ნატოდან საბერძნეთის გამოსვლისა და ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციისათვის, ბალკანეთის უბირთვო ზონად და ხმელთაშუა ზღვის — მშვიდობისა და თანამშრომლობის ზღვად გადაქცევისათვის, დაძაბულობის შენელებისათვის და გამალებული შეიარაღების შეწყვეტის პოლიტიკისათვის. მშვიდობის დასამკვიდრებლად ბრძოლაში მისმა საქმიანობამ საერთაშორისო აღიარება პოვა — 1977 წლიდან იგი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის წევრია.

ურუგვაელი ხალხის ინტერესების, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის თანამიმდევარი მებრძოლია ურუგვაის თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე **გენერალი ლიბერ სერენი**, იგი 1916 წელს დაიბადა მონტევიდეოში, მშრომელთა ოჯახში. სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ეკავა მთელი რიგი სამეთაურო თანამდებობანი. 1963 წელს მიღო გენერლის წოდება და გახდა სამხედრო ოლქის სარდალი. 1969 წელს მან უარი თქვა მორიგ სამსახურებრივ დაწინაურებაზე და საკუთარი ინიციატივით გადადგა მშრომველი რეკიმის რეპრესიული ანტისახალხო პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. მას შემდეგ მთელი თავისი ცხოვრება უძღვნა პოლიტიკურ მოღვაწეობას.

1971 წელს ლ. სერენი სათავეში ჩაუდგა ურუგვაის პროგრესული ძალების გაერთიანებას — ფართო ფრონტს და გახდა პრეზიდენტობის კანდიდატი მემარცხენე ძალებისაგან. იგი აქტიურად გამოდიოდა მშრომელთა უფლებების დასაცავად, ურუგვაის მიერ დამოუკიდებელი, ანტიიმპერიალისტური პოლიტიკის განსაზორციელებლად.

1973 წლის რეაქციული სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ლ. სერენი არაერთგზის დაუპატიმრებიათ. 1978 წელს სამხედრო ტრიბუნალმა თოთხმეტი წლის პატიმრობა მიუსაჯა. პატიმრობის მძიმე პირობებმა ვერ გატეხეს მისი სულისკვეთება. ლ. სერენი რეაქციისადმი ურუგვაის პატრიოტთა წინააღმდეგობის სიმბოლოა.

მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობა აქტიურად იბრძვის ლ. სერენის თავისუფლებისათვის. 1981 წელს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით მას მიენიჭა ფ. ჟოლიო-კიურის სახელობის „მშვიდობის ოქროს მედალი“. „მშვიდობის მსოფლიოს საბჭოს მოწოდებით 1981 წლის 6_13 დეკემბერს ლ. სერენის დაბადების 65 წელთან დაკავშირებით მოეწყო მისი განთავისუფლებისათვის ბრძოლის საერთაშორისო კვირეული.

ერთ-ერთი უთვალსაჩინესი პროგრესული პალესტინელი პოეტია **მაჰმუდ დერვიში**. იგი 1941 წელს დაიბადა პალესტინაში. ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ ცხოვრობდა ქალაქ ჰაიფაში. არაერთგზის განუცდია დევნა-დაპატიმრება თავისი საზოგადო-პოლიტიკური და პოეტური მოღვაწეობისათვის. 1970 წელს იძულებული გახდა წასულიყო ისრაელიდან.

მ. დერვიშის "შემოქმედება საგრძნობ გავლენას ახდენს პალესტინის არაბი ხალხის სულიერ ცხოვრებაზე. პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობისათვის მისი ლიტერატურული და პოეტური მოღვაწეობის მნიშვნელობა ზმირად აღუნიშნავს საჯაროდ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარეს ი. არაფატს. დიდი აღიარება მოიპოვა მ. დერვიშის პოემამ „ალყაშემორტყმული ბეირუთი“, რომელიც ალყირში გამართულ პალესტინის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) მე-16 სესიის სხდომაზე წაიკითხეს.

მშვიდობის მომწოდებელმა პოეზიამ მ. დერვიშს საბელი და პოპულარობა მოუხვეჭა მთელ არაბულ სამყაროსა და სხვა ქვეყნებში. იუნესკო გამოსაცემად ამზადებს მისი პოეზიის ანთოლოგიას. პოეტის ლექსების რამდენიმე კრებული ითარგმნა რუსულ ენაზე.

მ. დერვიში დიდ საზოგადო-პოლიტიკურ მუშაობას ეწევა. იგი პალესტინის ეროვნული საბჭოს წევრი და პალესტინური ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალის „ქარმელის“ რედაქტორია.

მშვიდობის თანამიმდევარი მებრძოლია პასტორი ჯონ მორგანი. იგი 1918 წელს დაიბადა ამერიკის ქალაქ ნიუ-ოლბანში. 1959 წლიდან მუდმივად ცხოვრობს კანადაში.

ჯ. მორგანმა დაამთავრა ჰარვარდის უნივერსიტეტის ღვთისმეტყველების სკოლა, აქვს სამეცნიერო წოდებანი განათლებისა და თეოლოგიის დარგში. აგრეთვე ფილოლოგიის დოქტორის წოდება ინგლისური ლიტერატურის დარგში.

კანადაში გადასვლის შემდეგ ჯ. მორგანმა დაიწყო მუშაობა ომისა და შვიდობის პრობლემების შესასწავლად. ამ საკვლევ მუშაობას იგი უხმეებს აქტიურ მონაწილეობას კანადელ ომის მოწინააღმდეგეთა მოძრაობაში. 1972 წელს იგი კანადის მშვიდობის დაცვის კონგრესის პრეზიდენტად აირჩიეს და ახლაც დიდმხიშვნელოვან და პასუხსაგებ პოსტზეა. მისი აქტიური მონაწილეობით კონგრესი კანადელ ომის მოწინააღმდეგეთა მოძრაობის მასობრივი, გავლენიანი ძალა ხდება. 1980-1982 წლებში კონგრესმა დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა კამპანიაში, რათა გაეგრძელებინათ პეტიცია „მშვიდობის დაცვა ყოველი ადამიანის საქმეა“, რომელზეც შეაგროვეს 150 ათასზე მეტი ინდივიდუალური ხელმოწერა, აგრეთვე ქვეყნის მრავალი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმოწერები.

ჯ. მორგანის თანამიმდევრულმა და პრინციპულმა პოზიციამ, რომლის მიზანია ხალხთა შორის მეგობრობის განვითარება და განამტკიცება, ბირთვული ომის საფრთხის ლიკვიდაცია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თანამედროვე ეტაპზე კანადის მშვიდობის დაცვის კონგრესის საქმიანობის პროგრამის შემუშავებაში. იგი მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას: კანადის ტერიტორიაზე ამერიკული ფრთოსანი რაკეტების გამოცდის წინააღმდეგ ბრძოლას და კამპანიას ბირთვული იარაღისაგან თავისუფალ ზონად ქვეყნის გადაქცევისათვის.

მშვიდობისათვის ბრძოლაში ჯ. მორგანის აქტიურმა და მრავალმხრივმა მოღვაწეობამ დამსახურებული საერთაშორისო აღიარება პოვა. 1974 წლიდან იგი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრია, ხოლო 1980 წელს აირჩიეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საერთაშორისო ლენინური პრემიის ახალ ლაურეატებს შორის არიან ოთხი ქვეყნის წარმომადგენლები, სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები. მაგრამ მათ ყველას აერთიანებს ერთი რამ — აქტიური მონაწილეობა ხალხთა მშვიდობიანი ცხოვრებისათვის ბრძოლაში. ვუსურვოთ მათ შემდგომი წარმატებანი ამ კეთილშობილურ საქმიანობაში.

(საკ.დესი).

1 მაისი

ყრილობა დამთავრდა

მაპუტუ. მუშაობა დაამთავრა ფრელიმოს IV ყრილობამ. მისი მუშაობის ბოლო დღეს პარტიული ფორუმის დელეგატებმა აირჩიეს ცენტრალური კომიტეტი და მისი პოლიტბიურო ფრელიმოს პარტიის თავმჯდომარის, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის სამორა მაშელის მეთაურობით.

ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციებსა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დირექტივებში გამოთქმულია პარტიის მტკიცე გადაწყვეტილება განუხრელად განახორციელოს მოზამბიკში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის კურსი.

ი. განდის განცხადება

დელი. ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ი. განდიმ დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების გეგმები სამხრეთ აზიაში ბანალურად ინტერვენციონისტული „სწრაფი რეაგირების ძალები“. ლონდონში გამომავალ ყოველკვირეულ „მუსავაატისათვის“ მიეცემულ ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ ვითარება სამხრეთ აზიის რეგიონში „მკვეთრად გაუარესდება“, თუ პაკისტანი თავის ტერიტორიას შესთავაზებს ამ „ძალების“ ბაზების მოსაწყობად. ეს იქნებოდა დელში მიუმხრობელი ქვეყნების საჯელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების VII კონფერენციის დეკლარაციის საწინააღმდეგოდ გადადგმული ნაბიჯი.

პრემიერ-მინისტრმა მხარი დაუჭირა ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობათა შემდგომ ნორმალიზაციას.

პატრიოტები უტევენ

სან-ხოსე. სალვადორელმა პატრიოტებმა ახალი ფართო შეტევა დაიწყეს ქვეყნის სხვადასხვა რაიონში. ფარაბუნდო მარტის სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის მებრძოლებმა მძლავრი დარტყმები აგიმეს რეჟიმის ჯარებს უნიონის, მორახანისა და სან-მიგელის დეპარტამენტებში.

აქ მიღებული ცნობებით, მრავალსაათიანი ბრძოლის შემდეგ პარტიზანებმა ხელთ იგდეს ქალაქი სანტა-როსა-დე-ლიმა, სადაც 30 ათასი კაცი ცხოვრობს. რვარესიული რეკიმის 40 ჯარისკაცი მოკლეს და 10 დაატყვევეს.

სან-სალვადორიდან ჩრდილოეთით 75 კილომეტრზე მდებარე დაზა სინკერაში პატრიოტებმა განადგურეს დამსჯელთა რჩეული ბატალიონი „სიერპე“.

გუასაპისა და ჩინჩონტეპეკის ვულკანების რაიონებში, რომელიც პატრიოტებმა მიუდგომელ ციხესიმაგრედ აქციეს, წარმატებით იგერიებენ 3 ათასი დამსჯელის იერიშებს.

ვაშინგტონის პირფერობა

კაირო. ამერიკის შეერთებული შტატების საახლოაღმოსავლეთო პოლიტიკის სრული ჩაშლის ახალი დასტური გახდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის შულცის ვიზიტი რეგიონში. ასეთი დასკვნა გამოაქვს კატარის პრესას, რომელიც განმარტავს ვაშინგტონის დიდი თანამდებობის მოღვაწის ახლანდელ მოგზაურობას ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში.

შულცის ვიზიტმა, აღნიშნავს გაზეთი „გალფ ტაიმსი“, ერთხელ კიდევ ცხადყო რაოდენ პირფერულია თეთრი სახლის მტკიცებები, ვითომდა შეერთებული შტატები ესწრაფოდეს რეგიონში მშვიდობის დამყარებას და ახლო აღმოსავლეთის პრობლემის სამართლიან მოწესრიგებას. ოკეანისგაღმელი „მშვიდობისმყოფლის“ ვოიაჟი, ხაზს უსვამს გაზეთი, მიმდინარეობს სირიის საზღვრებზე და ლიბანის ბექაას ველზე ისრაელის ინტენსიური საომარი სამზადისის აკომპანემენტით. ამერიკა-ისრაელის აგრესია სირიის წინააღმდეგ, აღნიშნავს „გალფ ტაიმსი“, იქნება აგრესია მთელი არაბი ხალხების წინააღმდეგ, ვინაიდან მისი მიზანია თავს მოაბრძოლა ისრაელის პირობები, წინააღმდგეს ოკუპირებული არაბული მიწების მშვიდობიანი გზით განთავისუფლებას.

1 მაისი

დღის წესრიგშია სპარტაკიადა

ვაგრძელებთ საუბარს იმის თაობაზე, თუ როგორ ემზადებიან ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები სსრ კავშირის ხალხთა VIII საზაფხულო სპარტაკიადისათვის. ამჯერად გაზეთ „კომუნიტის“ კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს მძლეოსანთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი **ბონდო გველესიანი:**

მ ძ ლ ე ო ს ნ ო ბ ა

— უკვე დადგენილია რესპუბლიკის ნაკრების შემადგენლობა — შერჩეულია 24 სპორტსმენი (16 ვაჟი და 8 ქალი), რომლებიც სპარტაკიადაზე იასპარეზებენ. გავაცნობთ ზოგიერთ მათგანს: მორბენლები მაია აზარაშვილი, შორენა ონიაშვილი, ირინე კოსორუკოვა, ოლგა ვოქტოროვა, ტატიანა ემუხვარი, ალი ალიევი, ლევან ბლიაძე, დიმიტრი კალაძე, ბესიკ გოცირიძე, ზურაბ მემარნიშვილი, მამუკა კიკაძე, გიორგი ჯარაშვილი, შუბის მტყორცნელები საიდა გუნბა და ელგუჯა კოტრეტივი; სამხტომელი — სერგო ახვლედიანი.

ვიმედოვნებთ, რომ ნაკრებს ის სპორტსმენებიც შეემატებიან, რომლებიც საქართველოს მერვე სპარტაკიადაზე გამოიჩენენ თავს.

გუნდს ავარჯიშებს მწვრთნელთა ჯგუფი ბ. დიაჩკოვის, ი. გიგაურის, ა. ბედუკაძის, ე. გაგუას, მ. მუხიგულაშვილის და სხვათა შემადგენლობით. წინასწარი პროგნოზებით, 120-მდე ქულის მოპოვებას ვვარაუდობთ. ეს ცოტრი, რა თქმა უნდა, ზღვარი არ არის და ვეცდებით უფრო მეტხაც მივაღწიოთ, თუმცა სიმარცლეს ვერსრულად ვავიცავით — ნაკრები გუნდის მეცირეცხოვნება და ქულათა მოპოვების დასახული რაოდენობის სიმცირე თვალნათლივ ცხადყოფს, თუ რაოდენ ჩამოვრჩებით ამ სახეობის სპორტში. სრულიად დაკომპლექტებულ გუნდში 112 სპორტსმენი (66 ვაჟი და 46 ქალი) უნდა იყოს. ჩვენ კი, როგორც ვთქვით, 24 ან შესაძლოა ოდნავ მეტი მძლეოსნით ვიასპარეზოთ. ქულათა მოპოვების შესაძლო რაოდენობაც იმდენად მცირეა, რომ შედარებაც არ ღირს იმ რესპუბლიკების მძლეოსანთა შედეგებთან, რომლებიც ქულათა უმეტეს წილს სწორედ მძლეოსნობაში აგროვებენ.

ვფიქრობ, ცუდად არ ჩამომართმევენ სხვა სახეობათა სპორტის წარმომადგენლები, თუ ვიტყვი, რომ მძლეოსნობაში ჩამორჩენა გაცილებით უფრო სამწუხარო და დამაფიქრებელია, ვიდრე რომელიც გნებავთ სხვა სახეობაში. უფრო მეტიც. მძლეოსნობის განვითარებლობა ხაზინაა ბევრი სახეობის სპორტისთვისაც. ადამიანი ხომ სასკოლო ასაკიდანვე უნდა შეეჩვიოს სწორად ხარბილს, ფოთლვას და სხვა მძლეოსნურ ჩვევებს. ეს უფრო სრულფასოვანს და სახარგებლოს გახდიდა ფიზკულტურის გაკვეთილს, რომელიც ჩვენში ძირითადად მხოლოდ ტანვარჯიშისკენაა მიმართული. მძლეოსნობის პოპულარობა ჩვენს რესპუბლიკაში საგრძნობლად ჩამოუვარდება სპორტულ თამაშობათა პოპულარობას, ახალგაზრდებს შორის მძლეოსნობის პოპულარიზაციის საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ჩვენს პრესას, ტელევიზიას, რადიოს. ჩვენ ეს დახმარება როგორც წყალი, მზე და ჰაერი, ისე გვჭირდება. დახმალი არ არის, რომ ჩვენი ახალგაზრდები ნაკლებად ეტანებიან მძლეოსნობას. მაგალითად, ლიტვაში რესპუბლიკის მთელი ჩემპიონატის პირდაპირი ტელეგადაცემები ეწყობა და ამან იქ დიდად შეუწყო ხელი მძლეოსნობის განვითარებას. ჩვენთან საქმე იქამდე მივიდა, რომ ხშირად მოზარდთა მშობლებს ძალოსნობა და მძლეოსნობა ერთმანეთში ერევთ. ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა. ჩვენ, თავად მწვრთნელებმა, ფიზკულტურის მასწავლებლებმა უნდა ვეძიოთ სხვადასხვა ფორმები რესპუბლიკაში მძლეოსნობის მხარგასაშლელად. მძლეოსნობის სპეციალისტები დიდ ვალში ვართ ახალგაზრდობის წინაშე და ამიტომ მთელი ჩვენი მეცადინეობა სწორედ იმისკენ უნდა წარეგმართოთ, რომ რესპუბლიკის მძლეოსნურ სექტორებზე — ქალაქად თუ სოფლად — მრავლად მივიზიდოთ ვაჟებები და ქალიშვილები. მხოლოდ ამ გზით თუ გაიზრდება მძლეოსნობის წვლილი სწრაფი, ძლიერი და გამძლე ბავშვების აღზრდის საშურველ საქმეში.



საბჭოთა სავიზიტო გარათი

საქართველოში ძლიერი მძლეოსნები გამოჩნდნენ საბჭოთა ხელისუფლების პირველივე წლებში. 1924 წელს თბილისელმა ვ. დიაჩკოვმა დაამყარა საკავშირო რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში (170,7 სმ), 1931 წელს კი ეს რეკორდი გაუუმჯობესა გ. შხეკაცაბაიამ (183 სმ). დადგა მსოფლიო რეკორდების დამყარების ხანაც. დ. იოსელიანმა მსოფლიო რეკორდზე უკეთესი შედეგი აჩვენა ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში (348,2 სმ), ნ. დუმბაძემ 1937 წელს ბადრო ტყორცნა 45,78 მეტრზე და ეს შედეგი საუკეთესო იყო მსოფლიო მასშტაბით, მანვე 1939 წელს პირველად აჩვენა შედეგი, რომელიც უკვე ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს ჭარბობდა (48,31 მ). ამის შემდეგ საქართველოს მძლეოსანთა მიღწევები კიდევ უფრო გამოიკვეთა. ოლიმპიურ ჩემპიონთა წოდებანი მოიპოვეს რ. შავლაყაძემ (1960 წელს), ვ. სანეევმა (1968, 1972 და 1976 წლებში), ოლიმპიურ ვერცხლის მედალს დაეუფლა ლ. სანაძე (1952), ბრინჯაოს მედლებს — ნ. ხნიკინა და ნ. დუმბაძე (1952); შემდეგ კი ნ. დვალიშვილი-ხნიკინა (1956). გვყავდნენ ევროპის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსნები, სსრ კავშირის ჩემპიონები და პრიზიორები. ახლა ყველა მათგანის ჩამოთვლა შორს ნაგვიყვანს. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების ჩემპიონები იყვნენ ლ. ივვლევა (1967 ნელი), ვ. სანეევი (1971 და 1975 ნელი), ს. გუმბა (1979)... საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები გუნდების შედეგები სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებზე ასეთია: I სპარტაკიადა (1956 ნელი) — მერვე ადგილი, II (1959) — მეცხრე, III (1963) — მეცხრე, IV (1967) — მეცხრე, V (1971) — მეცხრე, VI (1975) — მეთექვსმეტე, VII (1979) — მეცამეტე ადგილი. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს მძლეოსნებმა შესამჩნევად დათმეს პოზიციები, გაუარესდა მათი შედეგები როგორც სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებზე, ისე საკავშირო და სხვა მნიშვნელოვან შეჯიბრებებში.

ყაბახი

სატურნირო ორბიტა

ჰოკეი. მიუნხენში გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი. პირველი-მეოთხე ადგილებისათვის მებრძოლ ჯგუფში გაიმართა ბოლოსწინა, მეორე ტურის მატჩები. გთავაზობთ შედეგებს: კანადა-შვეიცია— 3:1, სსრ კავშირი-ჩეხოსლოვაკია — 1:1. ბოლო ტურის შეხვედრები გაიმართება დღეს: შვედები ხვდებიან ჩეხოსლოვაკიელებს, საბჭოთა ჰოკეისტები —კანადელებს. ამ მატჩების წინ გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: სსრ კავშირი და ჩეხოსლოვაკია— 3-3 ქულა, კანადა — 2, შვეიცია— 0.

ძალოსნობა. ვარნაში (ბულგარეთი) მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაზე ანდრეევას ლეტცმა (გდრ) 56 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში დაამყარა მსოფლიო რეკორდი: მან აკვარში 160,5 კილოგრამი დაძლია. იგი უძლიერესი გაზლდათ აგრეთვე ორეიდში — 272,5 კგ. საბჭოთა სპორტსმენმა ვიტალი დანილენკომ მესამე ადგილი დაიკავა — 250 კგ.

ფეხბურთი. დღეს, ხვალ და ზეგ გაიმართება უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მერვე ტურის მატჩები. დღეს ცსკა მიიღებს მოსკოვის „ტორპედოს“, „დნეპრი“ — „არარატს“, ხოლო გათამაშების ერთ-ერთი

საბჭოთა სავიზიტო გარათი

ყაბახი

ტელევიზია

2 მაისი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები. 9.20 — კონცერტი. 10.10 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 10.30 — „მაღვიძარა“. 11.00 — ეემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — მულტფილმები. 12.45 — „ლილის ფოსტა“, 13.15 — დოკუმენტური ტელეფილმი ესტონელ მხატვარ ლ. ერმის შესახებ. 13.30 — სოფლის საათი. 14.30 — მუსიკალური კიოსკი. 15.00 — მოგზაურთა კლუბი. 17.30 — პირველი მაისის უცხოელი სტუმრები. 17.45 — რ. შეიდრინის ნაწარმოებებს ასრულებს მოსკოვის სიმფონიური ორკესტრი. 18.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში. ფინალური ჯგუფის გუნდების მატჩი. შესვენებისას — „საფეხბურთო მიმოხილვა“ და „თუ გინდა ჯანმრთელი იყო“. 20.25 — კინოკომედია „ბრილიანტის ხელი“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში, ფინალური ჯგუფის გუნდების მატჩი.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — მხატვრული ფილმი „მდიდარი საცოლე“. 10.50 — მოლდავეთის სსრ ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. 11.40 — დოკუმენტური ტელეფილმები. 12.20 — ბრძოლისა და შრომის პოეზია. 12.45 — მწერალ ვ. კრაპივინის ნაწარმოებთა კვალდაკვალ. 13.30 — მხატვრული ტელეფილმი „ღამურა“. პირველი და მეორე სერია. 15.40 — მულტფილმები. 16.10 — დოკუმენტური ტელეფილმი. 16.40 — გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 17.10 — მხიარული სტარტები. 17.55 — აშკარა — დაუჯერებელი. 18.55 — „დედამიწის მიზიდულობა“. კოსმონავტთა შეხვედრა ხელოვნების მოღვაწეებთან. 21.15 — ფეხბურთი. ცსკა — მოსკოვის „ტორპედო“. მე-2 ტაიმი. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — მხატვრული ფილმი „სანტიმენტალური რომანი“.

3 მაისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.45 და 20.00 — მულტფილმები. 9.55 — მხატვრული ფილმი „სანტიმენტალური რომანი“. 11.30 — ცხოველთა სამყაროში. 15.50 — დოკუმენტური ფილმები გარემოს დაცვის შესახებ. 16.40 — კონცერტი. 18.45 — ვვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 19.15 — ჩვენი ბაღი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.10 — „პატივი — შრომის მიხედვით“. 20.40 — მხატვრული ტელეფილმი „ცოცხალი შეიაყარით“. I სერია. 22.00 — „ვრემია“. 23.00 — ფეხბურთი. მინსკის „დინამო“ — კიევის „დინამო“. 24.00 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 9.35 და 10.35 — ფიზიკა. X კლასი. 10.05 და 14.00 — ფრანგული ენა. 11.05 — ესთეტიკური აღზრდა. 11.50 და 12.40 — ბოტანიკა. V კლასი. 12.10 — საბავშვო კინო. VII კლასი. 13.30 — გეოგრაფია. VII კლასი. 13.30 — კარლ მარქსი — „ყმაწვილის ფიქრები პროფესიის არჩევის დროს“. 14.30 — მ. გორკი — „ნარკვევები ამერიკაზე“. 15.05 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 15.35 — დრამატურგია დიდი სამამულო ომის წლებში. კ. სიმონოვი — „რუსი ადამიანები“. 19.15 — „ღიმილი არენაზე“. ფილმ-კონცერტი. 19.25 „ორმოცდახუთის ზამთარი და გაზაფხული“. I სერია. 20.15 — დედის სკოლა. 20.45 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.00 — ფეხბურთი. მოსკოვის „დინამო“ — „ფახთაქორი“. მე-2 ტაიმი. 21.45 — ხალხური მელოდიები. 22.00 — „ვრემია“. 23.00 — მხატვრული ფილმი. 00.10 — სპორტი გასულ კვირაში.

თბილისი

2 მაისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ახალი ამბები“. 9.40 — ქართული სატელევიზიო ფილმი — კონცერტი — „მლერის მართვე“. 10.00 — სატელევიზიო კინოგაზეთი „ბავშვებისათვის — „ცისკარა“ მხატვრული ფილმი „ბრილიანტები პროლეტარიატის დიქტატურისათვის“ (პირველი და მეორე სერია). 12.25 — „საკვირაო გამოფენა“. 12.30 — მულტიპლიკაციური ფილმი „იყო ერთი ფუტკარი“... 12.45 — „დილის ფოსტა“ — მუსიკალური გადაცემა (მ.). 13.15 — „ბავშვებისათვის — კონცერტი — „აბა დელია!“... 14.00 — „საკვირაო გამოფენა“. 14.05 — მულტიპლიკაციური ფილმი „იყო ერთი ნაგაზი“. 14.15 — „ვესნიანკი“ — საინფორმაციო პროგრამა. 14.45 — „ზაზაფხულის ხმები“ — კონცერტი. 15.25 — „საკვირაო გამოფენა“. 15.30 — მხატვრული პროგრამა „ფილმი, მსახიობი, როლი“. 17.40 — კონცერ